საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/13

15 აპრილი, 2014 წ. **ქ. ბათუმი**

2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის”, ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილების, ,,2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2013 წლის 21 აგვისტოს №01-08/25 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და 2013–2014 სასწავლო წელს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' 2013 წლის 18 სექტემბრის №01-08/30 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2013-2014 სასწავლო წლის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის <u>გაზაფხულის სემესტრში მეორე ეტაპის</u> ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდეს **2014 წლის 23 აპრილის ჩათვლით** და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტი გამოიცეს 2014 წლის 30 აპრილს.

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე და ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**